F-343
1992

ISSN 0132—5965

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული

№ 9 - 10 სექტემბერი
ოქტომბერი 1992 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სექტემბერში ქართული მართლმადიდებლური ეკლესია აღნიშნავს წმინდა ქეთევან წამებულის სსენების დღეს

ვინ იყო ქეთევან წამებული და რატომ შერაცხა იგი ეკლესიამ წმინდანად?

კახეთის დედოფალი, კახთა მეფის, თეიმურაზ I-ის დედა, ქეთევანი, დიდი სულიერი ძალის მქონე ქალი ბრძანდებოდა. მის დროს სპარსეთის მეფე, შაჰ-აბას I ცდილობდა დაემორჩილებინა და ყიზილბაშურ სახანოებად გადაექცია ქართლ-კახეთის ქრისტიანული სამეფოები. დედოფალი სპარსთა წინააღმდეგ გამოსვლებს ჩაუდგა სათავეში. შაჰმა თეიმურაზ I-ს ერთგულების ნიშნად მძევლები მოსთხოვა, და თეიმურაზიც იძულებული გახდა თავისი დედა და მცირეწლოვანი ვაჟები გაეგზავნა სპარსეთში.

თეიმურაზმა რუსეთის დახმარებით სცადა დედის განთავისუფლება. მაშინ შაჰმა ბრძანა, ქეთევან დედოფალს ქრისტეს რჯულზე ხელი აეღო და მაჰმადიანობა ეღიარებინა.

ქეთევანი ღრმად მორწმუნე ქრისტიანი იყო და ამაზე სასტიკი უარი განაცხადა. რა არ იღონეს ყიზილბაშებმა — ხან მუქარით ცდილობდნენ დაეშინებინათ, ხან კი დაპირებებით ხიბლავდნენ, მაგრამ ამაოდ. დედოფალი არ შეეპუა იმას, რომ წამებით სიკვდილი ელოდა. ქრისტესთვის წამება მისთვის სიხარული იყო, რადგან სჯეროდა, რომ ამით საუკუნო ცხოვრებას მოიპოვებდა ღვთის სასუფეველში.

დადგა წამების დღეც. ქეთევანმა მხურვალედ ილოცა, ეზიარა და სატანჯველს კიდევ უფრო გაძლიერებული შეხვდა.

...უზარმაზარი მოედანი სავსე იყო სპარსელებით, ქართველი ტყვეებით, უცხოელი სტუმრებითა და ელჩებით. შუა მოედანზე დიდი ცეცხლი დაანთეს და შიგ რკინები ჩაწყვეს გასახურებლად. დედოფალს კიდევ ერთხელ ჰკითხეს, უარყოფდა თუ არა ქრისტეს რჯულს, და კიდევ ერთხელ მოსიმინეს მისი მტკიცე უარი. მაშინ ის სასტიკად იწამეს, მაგრამ ვერ გატეხეს, ვერ დაიმორჩილეს. დედოფლის წამების შემსწრე ქრისტიანებმა ქეთევანი მაშინვე წმინდანად აღიარეს. წმინდანად შერაცხა ქეთევან დედოფალი საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამაც. მისი ხსენების დღეს, 26 სექტემბერს, განსაკუთრებით ლოცულობენ, ეზიარებიან და ზეციურ შეწევნას სთხოვენ თავის მფარველ წმინდანს მორწმუნე გოგონები, რომლებსაც მისი სახელი ჰქვიათ. მაგრამ ქეთევან დედოფალი მარტო „ქეთევანების“ მფარველი როდია: იგი ყველა ქართველისთვის მხურვალედ ლოცულობს უფლის წინაშე.

ჩვენც ვილოცოთ და შევთხოვოთ სამგზის სანატრელ ქეთევანს, არ მოაკლოს მფარველობა ქართველ ხალხს და სრულიად საქართველოს.

მზია გოგილაშვილი

ქეთევან დედოფალი

ანა კალანდაძე

რვალის ქვაბი მოეთრია ქონდაქარსა,
ცეცხლს აგზნებდა
კატა გრძნობის ქონდაქარი...
ზე მიჰქონდა, ღრუბლისაკენ, ცეცხლი ქარსა,
ქროდა ქარი...
თეთრი ხელი გულზე ედო დედოფალსა,
ტირად იდგა დედოფალი...
თმა დაშლოდა, თავი ნაზად დაეხარა,
სიკვდილის წინ ქართლის ვარდად გაეხარა...
ლოცულობდა...
როს ჩამოწყდა ბაგეთ მისთა:
„არასოდეს!“
დაფდაფებს ჭრეს განარისხთა,
ცხელი შანთი მიუტანეს ბროლის მკერდთან,
ცხელი რკინა
საქართველოს ცხელ გულს ჭკვეთდა.
რვალის ქვაბი გადმოეკიდო ქონდაქარსა,
ღიღინებდა კატა გრძნობის ქონდაქარი...
ლურჯი ბაკით თქმული ლოცვა გაჭვავ ქარსა,
ქროდა ქარი...
ცეცხლით სწვავდნენ
ტანშეძარცვულ დედოფალსა,
უდრეკ იუო დედოფალი!

ქ ო ნ დ ა ქ ა რ ი — ჯალათი

ილუსტრაცია ზაურ დეისაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა
F-6047
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლაში გაცილება

გიორგი ფერეთელი

დღემდე მოდუშულ ორშარებს
სულ სხვა დილის მზე აცხუნებს,
შეეტეო ხალხის მრავლობა
სკოლის გზებს, დღემდე დაცლილებს.
გამოცოცხლება დაეტეო
ბალახით დამწვდარ გზაწვრილებს,
ცუდთან კარგს გავლას უშლიან,
შვილს კარგთან დედაც აწყვილებს.
ჰირველკლასელი ჰირველად
გვერდში დაუდგა ემაწვილებს,
მარტო დედ-მამა კი არა,
მთელი სოფელი აცილებს.
დედაენაში თავს ჩარგავს
შიგ საზრდოს ნახავს მაწიერს,
ჰატარაობა არ მოსწონთ,
დიდობა უნდათ ჰაწიებს,
ხელი დასტაცეს დიდებმა
ხითხითით მაღლა ასწიეს,
თქვეს, რადგან კარგი ბიჭია,
ჩვენს მერხზე იჯდეს აწი ეს!..
გახარებული ჰატარა
იმ მასწავლებელს აწვიეს,
რომელიც უწრთვნის საშობლოს
ვეფხვებს, ლომებს და არწივებს...



ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

მემკვიდრე

ნოდარ შამანაძე

გიგლა სუსტი და ნაღია დაიბადა, ხშირად ავადმყოფობდა. ქალაქს უნდა გაარიდოთ, სოფლის ჰაერი უეჭველად მოაღონიერებს და გამოაჯანმრთელებსო, დაასკვნეს ექიმებმა.

სოფელი ისეთი უნდა, ჭალოვანი რომ არისო, თქვა გიგლას მამამ და ცოლ-შვილი თავის მშობლებს ჩაუყვანა. ბალღის დედა მალე თბილისში დაბრუნდა, შვილიშვილის გაზრდა კი ბებიამ და ბაბუამ ითავეს.

ეს იყო შვიდი წლის წინათ. ახლა გიგლა უკვე დიდი ბიჭია, თედო პაპას საქმარემდე წვდება. ჩასკვნილი და ბუთხუზაა, ლოყები თურაშაულივით დატკუცვია. მსუქანი კია, მაგრამ დინდლო და მომჩვარული არ გეგონოთ. ისე ტანმჩატედ მიდი-მოდის, თვალს ვერ შეასწრებ.

თედო პაპასავით თეთრი, ფარფალა ქუდი ხურავს, ხალათიც მასავით ჩაშლილი და ქამარშემოჭერილი აცვია. ლაპარაკშიც თედო პაპას ბაძავს, ცდილობს კაცურად მოუქციოს და სერიოზულ ამბებზე ისაუბროს. ეს მეზობლებს ართობთ და ხშირად გამომწვევად გამოეკამათებიან ხოლმე.

დაუზარელი და გამგონეა გიგლა. პაპას მუდამ თან დაჰყვება, მოწადინებულია, ყველა საქმეში დაეხმაროს, ტვირთი შეუმსუბუქოს. იმ დღენად ეიმედებათ, ზოგჯერ შინ მარტოდ ტოვებენ ოჯახის მისახედად.

ახლაც მარტოა, გრძელი ჯოხი უჭირავს და ფარდაგზე დაფენილ ხორბალს ქათმების შემოტევისაგან იცავს. ეზოში მეზობელი შემოვიდა:

— გამარჯობა, გიგლა!

— გაგიმარჯოს, პავლე ძია!

— თედო შინაა?

— პაპა და ბებია ბაზარში წავიდნენ.

— ოჯახი შენ დაგიტოვეს?

— ხო, მე დამიტოვეს. გაწამაწიაში ვარ. აქეთ ქათმები მაწუხებენ, იქით გოქები ჭყივიან. ძროხა საძოვარზე მყავს გაშვებული, ბოჩოლა კიდევ აგერ მიბია საბძელთან. ყველაფერს მოვლა და ყურადღება უნდა. მარტოხელობა ძნელია, კაცო!

— ძნელი თუა, ქალაქში წაბრძანდი, რას მისჩერებიხარ აქაურობას?

— ვერა, ვერ წავალ. თედო პაპა მეუბნება: შვილმა გულზე გადამაბიჯა, წავიდა და გაქალაქელდა, აქეთ აღარ იხედება, შენ უნდა იყო ჩემი მემკვიდრეო.

— ოჰო, მემკვიდრე უნდა იყოო? — განგებ გაიკვირვა პავლემ, — მერედა, დასთანხმდი?

— აბა რა ვქნა! — კაცურად გიმართა წელში გიგლა, — ადგილ-მამულს პატრონობა ხომ უნდა? ისეთი სახლ-კარობა გვაქვს, ავ თვალს არ დაენახვება. ვენახი, ბაღი, ბაღჩა... ახლა საყოლებელს აღარ იტყვე? ერთ ოჯახს მარტო ძროხა შეინახავს: თოთხმეტ ლიტრას იწველის.

— ეგ ყველაფერი კარგია, ძმაო, მაგრამ მშობლები არ გენატრება?

— მშობლები? როგორ არა?! ძმაც მენატრება...

— ჰოდა, წადი ქალაქში!

ნაღია, ნაღიტა — პატარა ტანისა, ჩია.

— აკი გითხარი, მემკვიდრე ვარ, ეზო-კარს უნდა მოვუარო-მეთქი?

— ეზო-კარს თედო მოუვლის.

— თედო პაპა მოხუცდა. მუხლები სტკივა: ჯერ დაჯდომა უჭირს და მერე ადგომა.

— შენი საქმისა შენ იცი! — გაუღიმა პავლემ და ჭიშკრისაკენ შებრუნდა.

— მიდიხარ, ძია?

— ჰო, მივდივარ. ისევ მოვალ. საჩქარო საქმე მაქვს თედოსთან.

გიგლამ მზეს ახედა.

— უჰ, როგორ დააჭირა ამ დალოცვილმა! ბებიამ დამიბარა, ბოჩოლას წყალი დაალევინე, არ დაგვისიცხოსო. იქ რომ წავიდე ხორბალს ქათმები ამიკენკავენ. მივაგროვებ ერთ ადგილას და ფარდაგს გადავაფარებ.

ასეც მოიქცა. მერე საბძლისაკენ წავიდა, მაგრამ ბოძზე თოკიღა დახვდა. ბოჩოლა არ ჩანდა.

გიგლა დაღონდა.

— ჭიშკარი ღია დაუტოვებია პავლე ძიას. ხბო, ალბათ, თავის დედასთან გამეპარა. როგორ ვერ დავინახე! ძროხას გამოწოვდა. როგორ ეწყინება ბებიას! — გაივლო გულში და საძოვრისაკენ გაეჩქარა. ბოჩოლა არც იქ დახვდა. შინისაკენ სირბილით გამობრუნდა. ჭიშკარში რომ მედიოდა, სამზადისაკენ გაექცა თვალი. კარები ნახევრად შეღებული იყო.

— ვინ გაალო? ვაითუ ქურდი შევიდა! ყველს იპარავს, ალბათ. დერგები სავსეა... — გაფიქრა და სამზადს ფრთხილი ნაბიჯით მიუახლოვდა. კართან შეჩერდა. შიგნიდან ფეხის ხმა მემოესმა. შეკრთა. მერმე ადგილიდან მოწყდა და შარაგზისკენ გაიქცა, პავლე ძიას ვეტყვი და ქურდს დავიჭერო. მოსახვევში პაპას და ბებიას შეეჩეხა.

— ქურდია ჩვენთან! — შესძახა და პაპას ხელებში შეუვარდა. თედომ გაოფლილ შუბლზე ხელი გადაუსვა და მშვიდად უთხრა:

ნუ ნაღვლობ, ორ ვაუკაცს ქურდი რას დაგვაკლებს!

ჭიშკარში რომ შევიდნენ, გიგლამ პაპას ურჩია: სამზადს ფეხაკრეფით მივუახლოვდეთო. იმანაც ნაბიჯი შეანელა; გიგლა კუზვა-კუზვით მიჰყვა.

თედომ სამზადის კარი შეაღო...

— ჰაიტ, შე მსუნაგო, სად შემოპარულხარ! — დაუცაცხანა ბოჩოლას და გამოაგდო.

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

— წყურვილმა შეაწუხა ალბათ და მიტომ აუწყვეტია. — თქვა ბებიამ, ბოჩოლას წყალი დაალევინა და ახლა გიგლასთან ერთად ძროხის დასარწყულებლად წავიდა. თედო და ეზოში შემობრუნებული პავლე კი კაკლის ჩრდილში დასხდნენ.

— კაი ბიჭი გეზრდებათ! — თვალი გააყოლა გიგლას პავლემ, — ზრდადასრულებულივით მსჯელობს. პაპაჩემის მემკვიდრე ვარ, აქედან ფეხს არ მოვიცვლი, ადგილ-მამულს უნდა ვუპატრონოო.

— ჯერჯერობით კი ამბობს ასე. რომ წამოიზრდება, მერე ვნახოთ, რას იზამს. იქნებ მართლა არ დაგვტოვოს და აქაურობას მოეპატრონოს, ვინ იცის! — იმედის შუქი ჩაუდგა თვალებში თედოს.

თქვენ როგორ გგონიათ, დატოვებს გიგლა ბებიას და პაპას?

მაყვალა მრევლიშვილი

აი, ეს უზომოდ კეთილი და ბრძენი ბებია მაყვალა მრევლიშვილია — ქართველი ბავშვების თაობების უსაყვარლესი პოეტი. და იცით, სულ ახალგაზრდობაშიც კი ის ყველა ბავშვისათვის ბრძენი და კეთილი ბებია იყო — ნამდვილი დიდი დედა — დიდედა...

ერთხელ, მახსოვს, ჩემს პატარა შვილთან ერთად მიმავალს შემომხვდა, მიეფერა ბავშვს და თავისი თბილი, ქვეყნად ყველაზე უფრო ალერსიანი ხმით უთხრა: «შენი გულისა!»

«შენი გულისა!» — აი ასეთი ტკბილი, დაუვიწყარი მოფერება იცოდა. ასეთივე ტკბილი და დაუვიწყარია მისი ლექსები...

«დილის» ამ ნომერში ვბეჭდავთ მაყვალა მრევლიშვილის პაწია, პაწაწკინტელა ლექსებს, მერე, სხვა დროს, მის პოემებსაც წაგაკითხებთ და თქვენც ისევე შეგიყვარდებათ ჭანჭიკელა, გოჭანჭური, ყოჩი ავტო და სხვანი და სხვანი, როგორც ჩემს შვილიშვილს ვასწავლე და, როცა ერთხელ ქალბატონ მაყვალასთან მივიყვანე სტუმრად, ვეუბნები, აბა-მეთქი მაყვალა ბებიას თავისი ლექსი უთხარი. იმანაც დაიწყო:

დიდი თოვლი მოვიდა,
სხილო იცვამს ჩექმებს...

ქალბატონ მაყვალას გაეცინა და ასე დაამთავრა გაგას დაწყებული:

„სასეირნოდ მე წავალ,
შენ კი სახლში ეგდე“,

მერე კი მხიარულად დასძინა, რა გინდათ ამ ბავშვისაგან, სწორს ამბობს ბოტები ახლა ვის აცვიათ, და მეორეწ�გავაკეთოთ ეს ლექსიც:

დიდი თოვლი მოვიდა,
სხილო იცვამს ჩექმებს,
საგუნდაოდ უნდა
ფეხი თბილად ექნეს.

რამდენი ასეთი ხალისიანი და სიყვარულიანი ამბის მოგონება შეიძლება, მაგრამ ჯობს ლექსები წაიკითხოთ, არა?

ციცინო გამყრელიძე



ჭუკები

ბუკბუკებენ ჭუკები,
დაჭარბვიან ინდაურს,
დღეამდა და რაღა ვქნათ,
ჩვენი დედა გვინდაო.
შეხვდათ ციცინათელა,
„რა გატირებთ, ჭუკებო,
აგერ, ჯიბის სანათი,
გზას მე გაგაშუქებო“.
მიჰყვა შინამდე და
ამოვნინა დედა.

არიფანა

მეზობლიანთ აივანთან
დიდი ლხინი გაიმართა:
ერთმა ბრასი მოიტანა,
ერთმა ეკვლი, ერთმა ბური,
ერთმა კვნიწი ქვამარილი,
ერთმა — ხახვი მოხრაკული.
ყველამ ერთად მოვულხინეთ,
დრო ადვილად გაიბარა,
წაროომ გვითხრა
კრიმანჭული,
ესეც შენი არიფანა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა, ნანა

ნეკნი გოგო, აი, ასე
ზრუნავს თავის ბაიაზე:
— ნანა, ნანა, ბაწაწინა! —
უმღერა და დააძინა.



ვაკაკუნეთ ბევრი

მე ფიცარი მქონდა,
ხერხი ნოდარს ჰქონდა;
ვაკაკუნეთ ბევრი,
გავაკეთეთ ტოტა-
ჭერხეთ, ჭერხეთ,
ჰოდა,
ავაშენეთ ოდა!

— ხომ დიდია გოგია?
— ახლა მართლაც დიდია.
ბაბუ ვედარ ეწევა,
როცა ბარკში მიდიან.
თუხ-თუხ! — ჩქარობს
მანქანა,
ხაჯეს უზის გოგია,
ჭერი, ბიჯო! გაქანდა,
კარგად დაუქოქია.
ოღონდ... როცა შინისკენ
ბრუნდებოდა ბარკიდან,
თავისთავიც, მანქანაც
ხულ ბაბუას ეჭიდა.





შემოდგომა

ეურმეს, ვაშლებს, ატამს
შემოდგომა ხატავს,
წითელ-ყვითელს გაჭკრავს,
აფერადებს მაგრად.
დაუოლებს თანაც:
შაქრად!
შაქრად!
შაქრად!

მხატვარი ბესო ხიდასელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსთავული

მე ვითა ვთქვა ფერნობა, სიკეთე და ქება მისი!
კაცი იყო საქმისაცა შესაფერი, შესაცყვისი;
სრე ენდა მოხმარება, გავიდოდეს ვისცა ვისი.
ოდეს კაცსა დაეჭირნოს, მაშინ ენდა ძმა და თვისი.

პრიზიორი

უჩა სახლთხუციშვილი — მხატვარი **ედუარდ ამგოკაძე**

ჭადრაკში სასკოლო ჩემპიონატი ტარდებოდა. მონაწილეთა უმეტესობა უფროსკლასელები იყვნენ, ყველაზე უმცროსი იყო მეორეკლასელი მამუკა. მამუკამ ყველა პარტია მოიგო გარდა ორისა; ეს ორი ყაიმით დაამთავრა და ახლა ჩემპიონატში მეორე ადგილზე მიდიოდა, მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა მეცხრეკლასელ მალხაზს.

ყველა მოუთმენლად ელოდა მალხაზისა და მამუკას შეხვედრას. ზოგი მალხაზს უწინასწარმეტყველებდა გამარჯვებას, ზოგს მამუკასი უფრო ხვეოდა, ამბობდნენ, პატარა მამუკა ისეთ მოულოდნელ გაგრძელებებს ირჩევს, ვერავინ ვერ ხვდება, რას აპირებს ხოლმე; ამიტომაც შეიძლება მალხაზსაც მოუგოს, თუ არა და ყაიმს მაინც მიაღწევსო.

თამაში რომ დაიწყო, დარბაზში ერთი სკამიც არ იყო თავისუფალი. მოსწავლეების გარდა დარბაზში უფროსებიც ისხდნენ: მასწავლებლებიც და მშობლებიც. მამუკა მშვიდად იჯდა სკამზე დადებულ ბალიშზე და დაფას დაკვირვებით დასცქეროდა, მალხაზი კი ყოველი სვლის შემდეგ ფეხზე დგებოდა და ხან სცენაზე მიდი-მოდიოდა, ხანც სხვა დაფებს გადაათვალიერებდა ხოლმე.

დებიუტის შემდეგ დაფაზე თანაბარი პოზიცია დადგა. მამუკამ როქის შემდეგ სრულიად მოულოდნელად მეფის დამცველი პაიკები დაძრა წინ.

თამაში დაძაბულად გაგრძელდა.

მამუკა სიმშვიდეს არ კარგავდა, მალხაზი კი აშკარად ნერვიულობდა. მამუკამ დიდხანს იფიქრა და მერე გადაწყვიტა, კუთი მოწინააღმდეგის ლაზიერს დამუქრებოდა. ფიგურას ხელი მოჰკიდა, მაგრამ უცებ შეიფიანდა, სანეზე სიწითლემ გადაჰკრა; მიხვდა, რომ ახლა მხედრით აჯობებდა სვლა, მაშინ მეორე სვლიზე ფიგურას იგებდა. მამუკამ კუს ხელი უშვა და მსაჯს გახედა. მსაჯი მისკენ არ იყურებოდა.

მალხაზიც მოშორებით თავისი თანაკლასელების თამაშს ადევნებდა თვალყურს. მამუკამ შვებით ამოისუნთქა. კიდევ კარგი დროზე შეევამჩნიეო, გაიფიქრა. და მხედრისკენ წაიღო ხელი. ის იყო, სვლა უნდა გაეკეთებინა, რომ ისევ შეჩერდა, ხელი ცივად გამოსწია უკან, თავი ჩაქინდრა და მზერა დარბაზისაკენ გააპარა.

მეორე რიგში მისი უფროსი ძმა, გიორგი იჯდა. გიორგის სახეზე დაძაბული გამომეტყველება აღბეჭდოდა, მამუკამ ძლივს დაიჭირა მისი მზერა. გიორგიმ თბილად გაუღიმა ძმას. მამუკამ ისევ ჩაღუნა თავი.

არა, ხელი კუს მოვკიდე, იმასვე ვითამაშებ, გაიფიქრა და სვლა გააკეთა.

მალხაზიც დაფას მიუჯდა.

მამუკამ კიდევ ერთხელ გააპარა მზერა ძმისკენ. გიორგი ისევ უღიმოდა. ეეჰ, ამოიოხრა მამუკამ, რა იცი, რა მოგებას ვუშვებ ხელიდან! მაგრამ მერე რომ გაიგებდი რაც ჩავიდინე, ხომ გეწყინებოდა. ხომ მეტ-ყოდი, დედალო, ვაჟკაცობა არ ჯობია პირველ ადგილსო?! ხოლო თუ პირველი ადგილიც შენია და ვაჟკაციც ხარ, მაგას რა შეედრებაო.

თამაში უღიმღამოდ გააგრძელა მამუკამ. ყოველ სვლაზე ის ყოყმანი და ხელის წაცდენა ახსენდებოდა, რაც ცოტა ხნის წინ ძლივს დასძლია; ახსენდებოდა და გონება ეფანტებოდა. დარბაზში უკმაყოფილო ჩურჩული ისმოდა:

— რა დაემართა, რა კარგი პოზიცია მიიღო და უცებ როგორ ჩაშალა ყველაფერი!

— ალბათ დაიღალა!

— დაიღლებოდა, აბა რა, თითის სიგრძე ბავშვი ამდენ პარტიას თამაშობს ზედიზედ... ისმოდა დარბაზიდან უფროსების საუბარი.

არა უშავს, წავაგო, — ფიქრობდა მამუკა, — საკუთარ თავს რომ ვაჯობე, იმითაც კმაყოფილი ვარ.

მართლაც ზედიზედ დაკარგა პაიკები მამუკამ დაფიგურაც რომ მიაყოლა, იძულებული გახდა დანებებულიყო. მალხაზმა თბილად გაუღიმა პატარა მოწინააღმდეგეს, სკამიდან თვითონვე ჩამოსვა, ლოყაზე აკოცა და სცენიდან ჩასვლამიც მიეხმარა, თან გაამხნევა:

— არა უშავს, აშკარად გატყობ, რომ მალე მომიგებ.

გიორგი უკვე გასასვლელთან ელოდა ძმას.

— რა მოგივდა, დაიღალე? — ჰკითხა გიორგიმ.

— არა, ვიგებდი, მაგრამ სვლა რომ გავაკეთე, მერეღა შევამჩნიე, — ჩაილაპარაკა მამუკამ და გიორგის თვალებში შეაჩერდა. — იცი, შემეძლო უკან დამებრუნებინა კუ, ლაზიერს რომ დავემუქრე, და მხედრით მეთამაშა... ვერც მსაჯმა და ვერც მალხაზმა ვერ დაინახეს... მაგრამ...

— მაგრამ არ იკისრე?

— ხო.

— ყოჩაღ, ასე ჯობს. — მოუწონა ძმამ — ვაჟკაცი ხარ, ახლა მეორე პრიზით დაკმაყოფილდი, მომავალ წელს კი შენ იქნები ჩემპიონი.

მამუკა ძმას შუბლით მკლავზე მიეყრდნო და გაიტრუნა.

— წავიდეთ? — ჰკითხა გიორგიმ.

— წა-ვი-დეთ...



ეროვნული ბიბლიოთეკა

შავლეგო

ნესტან კუპრავა

„შავლეგო“-ს მღერიან ბიჭები,
უსმენენ მშობლიური ველები,
დედებს უკამკამებთ თვალებში
ცრემლები — სიხარულის ცრემლები.
„შავლეგო“-ს მღერიან ბიჭები,
მართლა რომ შავლეგა ბიჭები,
მღერიან, ცა ქუდად ჰხურიათ,
არწივებს გაფრენა სწყურიათ.
მღერიან რაინდულ სიმღერას
გიორგი, დავითი, ალეკო...
მთა და ბარს ეხლება, გუგუნებს
შხნე და ენერგიანი „შავლეგო“, —
მტერს გულზე ლახვრად რომ ესობა,
ზარების რეკვად რომ იღვრება —
„შავლეგო“ — არწივების ყივილი,
„შავლეგო“ — რაინდების სიმღერა.

შენ გამეზარდე

გრიგოლ მაჭავარიანი

შენ გამეზარდე, თათული,
გამიხდი დი-ი-იდი ქალიო.
უფალმა არ მოგაცილოს
ტკბილად მოწყალე თვალიო.
თამარქალობა კარგია,
კარგი ქალობა — ვალიო.
ვალი კი ტვირთი როდია,
თუ ვარგა თამარქალიო.
არ შეგეცხვინოს თათული,
ქართლის მზე, მთა და ბარიო,
თამარ დედოფლის სახელი
და ეგ ქართული გვარიო.

შენ გამეზარდე თათული,
გამიხდი თამარქალიო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემოდგომის დედოფალი

ელგუჯა ობოლაშვილი

დატკბა ხილი,
მოწეულა
ლეღვი, ხურმა,
კომში, მსხალი,
გული გახსნა
ბროწეულმა,
დაიკოცა
თხილ-კაკალი.
ბატარების
გამრჯე ხელით
დათაფლულა
ეზო-კარი,
აბა, ჩქარა!
რთველში გელით
შემოდგომის
დედოფალი!
თაზოს, დათოს,
თემოს შრომამ
ახალისა
შემოდგომა.

მსუნაგი

ნიკოლოზ იოსებიძე

ელენე და ზურაბი,
გამღნენ კაკლის მურაბით,
არც ეურძენი შეჭამეს,
არც ვაშლი და გულაბი.
ჯიბეში და კალთაში
ჩაიყარეს ჩირები,
აცმაცუნეს მურაბით
მოთხუპნული ბირები.
ბებომ უთხრა მსუნაგებს:
„ეგენაცვალოთ ბებია,
მურაბა და ჩირები
ზამთრის მარაგებია.
შე კუდრაჯა ელენე,
ჩირი რომ გაქვს კალთაში,
ახლა ხილი ჭამე და
ჩირ-მურაბა — ზამთარში.

ილუსტრაცია მანანა ბორგოლაძე

დავით კლდიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვებო, დავით კლდიაშვილის სახელი ალბათ თქვენთვის ნაცნობია, თუმცა ჯერ შეიძლება ბევრ თქვენგანს წაკითხული არ ჰქონდეს ამ დიდი ქართველი მწერლის შესანიშნავი ნაწარმოებები, რომლებშიც მწერალს აღწერილი აქვს თავისი მშობლიური მხარის — იმერეთის ადრინდელი ყოფა, გაღარიბებულ აზნაურთა გაჭირვება და ამ გაჭირვებასთან შეუთავსებელი კუდაბზიკობა,

რასაც ხშირად სასაცილო მდგომარეობაში ჩაუგდია ისინი და ცრემლნარევი ღიმილი მოუგვრია მკითხველისათვის, ცრემლნარევი იმიტომ, რომ მწერალი დიდი გულისტკივილითა და სიყვარულით გადმოგვცემს მათ ამბავს.

ასევე დიდი სიყვარულით შექმნა დ. კლდიაშვილის ნაწარმოებთა ილუსტრაციები ჟურნალ «დილის» მხატვარმა გიორგი რონინაშვილმა.

გალაკტიონ ტაბიძეს უთქვამს: „რომ დავით კლდიაშვილი არა, დაუხატველი დარჩებოდა კაროჟნა, მშვენიერზე მშვენიერი კაროჟნაო“. მაგრამ დიდი გასაჭირი ედგა კაროჟნას მამას. ვერა და ვერ ათხოვებდა თავის უმზითვო ქალიშვილს.

გლეხისაგან ნათხოვარი. ბეხრეკი ცხენით მიდის თავის საქმეზე გადატაკებული აზნაური პლატონ სამანიშვილი.

„ერთობ გადაპრანჭული“ კი არიან ეს აზნაურები, მაგრამ კუჭი „გაფშეკილი“ აქვთ, იმიტომ რომ, თავიანთი მამულის შემოსავალი შემოდგომაზე ძლივს ჰყოფნით. იმიტომ შეერქვათ ამისთანებს „შემოდგომის აზნაურები“.

შიმშილისაგან კუჭგამხმარი აზნაურის — ბაკულას ღორები მეზობლის ბოსტანს შესჩვევიან. მათთან ჭიდილში თავგაბეზრებულია ძაღლი — ტრუბია.

მაგდა კვაჭანტირაძე

ია ფელიქიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიის წმინდა ისტორიიდან

რებეკა

გავიდა დრო. აბრაამი დაბერდა. მან გადაწყვიტა დაექორწინებინა ისაკი. იხმო თავისი ერთგული მსახური ელეაზარი და უბრძანა, მის სამშობლოში, მესოპოტამიაში წასულიყო და საცოლე ჩამოეყვანა ისაკისათვის.

მესოპოტამიაში, ქალაქ ქარანში რომ ჩავიდა, ელეაზარმა ღმერთს შესთხოვა, ენიშნებინა მისთვის, ვინ ჰყავდა დანიშნული ისაკის საცოლედ. „უფალო, აი მე ჭასთან ვდგავარ. ახლა გოგონები გამოვლენ და წყალს აავსებენ. ვისაც ვეტყვი, — მომაწოდე ეგ სურა, მწყურია - მეთქი, თუ კი ასე მიპასუხებს, — დალიე, მე შენს აქლემებსაც დავარწყულებო, — შენს მიერ ისაკის საცოლედ არჩეულად ჩავთვლიო“, — თქვა მან.

ამ დროს ჭასთან მოვიდა მშვენიერი ქალიშვილი, სურა აავსო და შინისკენ წავიდა. ელეაზარი დაეწია მას და სთხოვა, — მომაწოდე შენი სურა, წყალი მწყურიაო. გოგონამ

უპასუხა: „დალიე, ჩემო ბატონო, მე შენს აქლემებსაც დავარწყულებო“. გაოგნებული ელეაზარი უხმოდ შესცქეროდა ქალიშვილს, რომელიც ჭიდან წყალს იღებდა მისი აქლემებისათვის. ეს იყო რებეკა.

„ვისი შვილი ხარ? მამაშენის სახლში დამის გასათევი ადგილი თუ მოიძებნებაო, — ჰკითხა მას აბრაამის მსახურმა. გოგონამ უპასუხა, რომ ბათოელის შვილი იყო, აბრაამის ძმის, ნაქორის შვილიშვილი.

ელეაზარმა დაიჩოქა და ღმერთს მადლობა შეხწირა იმისათვის რომ, მან პირდაპირ აბრაამის ძმასთან მიიყვანა იგი.

ნაქორის სახლში გულთბილად მიიღეს ელეაზარი. იგი გაეცნო ოჯახის წევრებს და უთხრა მათ, რისთვისაც გამოგზავნა აბრაამმა. ისიც უამბო, თუ რა საოცრად ისმინა ღმერთმა მისი და როგორ ანიშნა რებეკაზე. შობლებმა ჰკითხეს რებეკას, წაჰყვებოდა თუ არა ამ კაცს. რებეკამ თანხმობა განაცხადა. მამამისმა აკურთხა იგი და გაყოლა ელეაზარს, რადგან იცოდა, რომ ასეთი იყო ღვთის ნება.

ჩვენთვის აუცილებელია, ყველა საქმე ღმერთს მივანდოთ, რადგან ღმერთი ადამიანთა გულებსა ხედავს. ღვთის ნებით შეირთო

ისააკმა რებეკა. ამიტომ მათ ძალიან შეუყვარდათ ერთმანეთი და ბედნიერი ოჯახი შექმნეს.

ისაკის შვილები

ისაკსა და რებეკას ღმერთმა ტყუპი ვაჟი მისცა. პირველად რომელიც იშვა, იმას ესავი დაარქვეს, მეორეს კი — იაკობი. ბიჭები წამოიზარდნენ. ესავი დახელოვნებული მონადირე გახდა, მთელ დღეს მინდორში ატარებდა, იაკობი კი სულ კარავში იყო, საოჯახო მეურნეობას უძღვებოდა. მამას ესავი უფრო უყვარდა თავისი ვაჟკაცური თვისებების გამო, დედას კი — იაკობი.

ესავს, როგორც პირველშობილ ვაჟს, მამისაგან უნდა მიეღო აბრაამისა და მისი შთამომავლობისთვის ღვთის მიერ განკუთვნილი ლოცვა - კურთხევა.

ერთხელ ესავი ძალიან მშიერი და დაღლილი მობრუნდა სახლში. ამ დროს იაკობს ოსპის ფაფით სავსე ჯამი ედგა წინ. ესავმა სთხოვა ძმას, — დამითმე შენი საჭმელი, ძალიან მშიაო. იაკობმა უთხრა, — მომეცი შენი პირველობა და ახლავე მოგართმევო. იაკობს ძალიან უნდოდა მიეღო მამის მიერ პირმშოსათვის

განკუთვნილი ლოცვა - კურთხევა, ესავს კი ამ კურთხევის მნიშვნელობა და აზრი არ ესმოდა და მაინცადამაინც არც არად დაგიდევდათ. მან უპასუხა ძმას, — რა დროს პირველობაა, ძალიან მშიაო... ასე დაუფიქრებლად, დაუდევრად დათმო მან ღვთის საგანგებო ლოცვა - კურთხევა, და შეჰფიცა კიდეც ძმას, რომ პირველობაში არ შეეცილებოდა.

ისაკი რომ მოხუცდა, დაბრმავდა. როდესაც სიკვდილის მოახლოება იგრძნო, მან დაუძახა ესავს და უთხრა: წადი, ინადირე მინდორში, მომიმზადე ჩემი საყვარელი კერძი ნანადირევით და სადილობის მერე გაკურთხებო.

რებეკას ძალიან უნდოდა, მამისეული ლოცვა - კურთხევა იაკობს მიეღო, და ეშმაკობას მიმართა. როცა ესავი სანადიროდ წავიდა, ორი თიკნისაგან საჭმელი მოუმზადა ისაკს და ესავის ნაცვლად იაკობი შეუშვა მამასთან ლოცვა - კურთხევის მისაღებად. ისაკს იაკობი ესავი ეგონა და აკურთხა.

როცა ესავი შინ დაბრუნდა და ყველაფერი შეიტყო, ძალიან გაბრაზდა. იმ დღიდან შეიძულა ძმა და მისი მოკვლაც კი გადაწყვიტა. ისაკმა მალე შეიტყო, რომ მოატყუეს, მაგრამ ლოცვა - კურთხევა მაინც დაუმტკიცა

იაკობს. ესავის თვალს რომ მოსცილებოდა, იაკობმა, მშობლების რჩევით, გადაწყვიტა მშობლიური სახლიდან მესოპოტამიას, თავის დედის ძმასთან — ლაბანთან წასულიყო.

იაკობის სიზმარი

გამგზავრების წინ ისააკმა კიდევ ერთხელ დალოცა შვილი. იაკობს სწამდა, რომ ღმერთი იყო მისი მფარველი და შემწე და ამ რწმენით გასწია ჩრდილოეთისკენ — შუამდინარეთისაკენ. გზად იგი მინდორში ღამის გასათევად შეჩერდა, თავქვეშ ქვა ამოიდო და დაიძინა. აქ მას საოცარი რამ დესიზმრა: იხილა უზარმაზარი კიბე, რომელიც მიწაზე იდგა, წვერით კი ცას ებჯინებოდა. უფლის ანგელოზები ადიოდნენ და ჩადიოდნენ ამ კიბეზე. კიბის თავზე კი თვით ღმერთი იდგა. მან უთხრა იაკობს: „მე ვარ უფალი, ღმერთი აბრაამისა და ისააკისა. ნუ გეშინია. მიწას, რომელზედაც ახლა შენ წევხარ, შენ და შენს მოდგმას დაგიმკვიდრებთ. შენს შთამომავლობაში იკურთხება დედამიწის ყველა ტომი... მე შენთან ვარ და ყველგან დაგიფარავ". იაკობმა გაიღვიძა და თქვა: „ეს ადგილი ცათა კარიბჭეა, აქ არის სახლი უფლისა".

იაკობის სიზმარი უბრალო სიზმარი როდია. აქ იაკობის მოდგმაში იგულისხმება მაცხოვარი, ვისგანაც იკურთხებიან, ე.ი. სამუდამოდ გადარჩებიან ხალხები. კიბე მოასწავებს ყოვლადწმინდა ღვთისშობელს. მისი საშუალებით ძე ღმერთი ციდან დედამიწაზე ჩამოვიდა.

სიზმრით გამხნევებულმა იაკობმა გზა განაგრძო. ბოლოს და ბოლოს იგი ჩავიდა ქარანში ლაბანთან. ბიძამისს ბევრი საქონელი ჰყავდა და იაკობი მწყემსად დაიყენა, გასამრჯელოდ კი ცხვრებს აძლევდა. იაკობის წილი ცხვარი სწრაფად მრავლდებოდა. იგი ძალიან გამდიდრდა. იაკობმა ცოლად შეირთო ლაბანის ქალიშვილი, რახილი, რომელიც აქ ჩამოსულისთანავე შეუყვარდა. ბიძამ თავისი მეორე ქალიშვილი, ლიაც მისცა ცოლად. იმ დროს ღვთისაგან დაშვებული იყო ქორწინება ნათესავთა შორის, ნებადართული იყო აგრეთვე რამდენიმე ცოლის ყოლა.

ოცი წლის შემდეგ იაკობი ღვთის მითითებით, თავისი დიდი ოჯახით და მრავალი მონის თანხლებით, სამშობლოსაკენ გამოემართა. თან წამოიღო თავისი აურაცხელი სიმდიდრეც. მან არ იცოდა, დაცხრა თუ არა ესავის გულიწყრომა და მისი გული რომ მოეგო, დიდძალი საჩუქარი გაუგზავნა.

იაკობის „ბრძოლა" ღმერთთან

ერთხელ გზაში იაკობი როგორღაც მარტო დარჩა. უცებ მასთან ვიღაც მივიდა და ჭიდაობა დაუწყო. ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. გათენებისას უთხრა მოჭიდავემ, — ახლა კი გამიშვი, თენდებაო. იაკობმა მიუგო, არ გაგიშვებ, სანამ არ მაკურთხებო. „რა გქვია?!" — ჰკითხა იმან. „იაკობი", — იყო პასუხი. „ამერიდან შენ გერქმება არა იაკობი, არამედ ისრაელი („ისრაელი" ნიშნავს „ღვთის მხილველს"). ამ ღამით შენ ღმერთს ეჭიდავე და „სძლიე" და, მაშასადამე, ყველა ადამიანს სძლევ", — უთხრა უცნობმა და აკურთხა.

მხატვარი **ედუარდ ამბროკაძე**

F-6049

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბა დელი

ციცა ქიტიაშვილი

აბა, დელი,
აბა, დელი,
გაანძრიეთ ჩქარა ხელი,
ვენახი და ზვარი გვიხმობს,
ბიჭო, ნუ ხარ უდარდელი.
აბა, დელი,
აბა, დელი,
გავიხადოთ, ჩქარა, რთველი,
დამკრახული ეურძნის კრეფა
შრომა არის სასურველი.
აბა, დელი,
აბა, დელი,
ნაოფია საკვირველი.
მარცვლებიდან მზე გვიცინის,
ჩაიკოკლოზინე ყელი.

წვიმა მოდის

თამარ ფხაკაძე

წვიმა მოდის, წვიმა მოდის
წკაპი, წკუპი, წკაპები.
ვაი, როგორ დაგვისველდა
ჯრელაჯრულა კბილები!
რა დროს საქანელებია,
რა დროს კარუსელია,
წვიმა მოდის, წკაპი, წკუპი,
ყველაფერი სველია.
დაუშვა და რა დაუშვა,
წვიმა მოდის ღვარებად!
აგერ, ცუგა გარბის სადღაც
თავის შესაფარებლად.
აგერ, ტოტზე შემოსკუპდა
მობუზული ბეღურა,
ფოთოლი კი ქოლგასავით
თავზე გადაეხურა.
მაგრამ, სოფო, ცას შეხედე,
ღრუბლის ქულა გაიხო,
მგონი მალე გადაიღებს,
მზე გამოვა, დაიკო!
წვიმა მოდის, წვიმა მოდის,
წკაპი, წკუპი, წკაპები,
მზე გამოვა, გაგვიშრება
ჯრელაჯრულა კბილები.

მხატვარი **მანანა მორჩილაძე**

შიარაღო და მისი „მამელუკი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ ზოგს გაგიგონიათ კიდეც მწერალი უიარაღო. აი, ასეთი მშვენიერი სახელი დაირქვა კონდრატე თათარიშვილმა, რომლის მოთხრობა «მამელუკი» თქვენხელობას ან ცოტა მოგვიანებით, გატაცებით საკითხავი წიგნი იყო სხვადასხვა თაობის ქართველი ბავშვებისათვის.

რაზეა ეს მოთხრობა?

საქართველოს ისტორიის ერთ მწარედ მოსაგონებელ, ბედუკუღმართ ხანაში გავრცელდა საზარელი ბოროტმოქმედება — ადამიანების მოტაცება და უცხოეთში გაყიდვა. ასე მოიტაცეს და სამშობლოს მოსწყვიტეს პატარა ბიჭი ხვიჩაც. როგორც სხვა მრავალი ჯანიანი და მარჯვე ბიჭი, ის შორეულ ეგვიპტეში მეომრად — მამელუკად გაზარდეს. ხვიჩას გადაავიწყდა თავისი მშობლიური მიწა-წყალი და დედაენა. მაგრამ აი, ერთ ბრძოლაში ხვიჩა — ახლა უკვე სახელად მახმუტ-ბეი. მოწინააღმდეგე ვენეციელთა რაზმში შეიჭრა, ერთ-ერთ მებრძოლს ცხენდაცხენ მიეჭრა და ხმლით მკერდი გაუპო.

— ვაი, ნანა! — წამოიკვნესა ვენეციელმა და ცხენიდან ჩამოვარდნილი უსულოდ დაეცა...

მახმუტ-ბეი გაფითრდა, მთელი ტანი აუცახცახდა, არც კი ახსოვდა, თუ რამდენი კაცი მოეკლა ბრძოლის ველზე ორმოცი წლის განმავლობაში. ხოცვა-ჟლეტა ჩვეულებრივ უბრალო მოვლენად გადაექცა, მაგრამ ასეთი სულიერი აღშფოთება ჯერ არ განეცადა.

«ვაი ნანა!» ამ სიტყვებმა გაახსენა მახმუტ-ბეის დაკარგული სამშობლო და თავისიანები, «თმა აებურძგნა, მთელ ტანში ჟრუანტელმა დაუარა». და მიხვედა, რომ მის მიერ მოკლული «მტერი» ისეთივე «ვენეციელი» იყო, როგორც თვითონ ის — «არაბი», გამოერკვა და გამძვინვარებული დაერია მამელუკებს... — პა, მოღალატე! — და მამელუკებმა ხმალზე ხელი იტაცეს.

ერთ ხანს ელავდა მზის სხივებზე სწრაფად მოქნეული ხმლები.

— ვაი ნანა! — გაისმა მწარე კვნესა და სასიკვდილოდ დაჭრილი მახმუტ-ბეი ვენეციელი ასისთავის გვამს ზედ დაეცა.

. . . . .

ღმერთმა ხომ იცოდა, რომ არც ერთი იყო არაბი და არც მეორე — ვენეციელი. ორივენი ბედკრულ საქართველოს შვილები იყვნენ.



მხატვარი **ვაჟა ქურხული**

ეროვნული ბიბლიოთეკა

14 ოქტომბერი — სვეტიცხოვლობა — მცხეთობა

მზია გოგილაშვილი

ჩვენი სამშობლო, საქართველო, უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა. აქ, ღვთის მადლით, მრავალი სიწმიდეა თავმოყრილი. ამ სიწმინდეთა შორის ერთ-ერთი უდიდესია ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს კვართი, რომელიც სვეტიცხოვლის ტაძრის ძირშია დამარხული. კვართი, ანუ პერანგი, ის სამოსია, ჯვარცმისას რომ ემოსა იესო ქრისტეს. უფლის ჯვარცმის შემდეგ რომაელმა ჯარისკაცებმა და ებრაელებმა წილი ჰყარეს მის სამოსელზე. კვართი მცხეთელ ებრაელს, ელიოზს ერგო. ელიოზი მორწმუნე ოჯახიდან იყო. მათ სწამდათ, რომ ქრისტე ნამდვილად ძე ღვთისა იყო. ამიტომ ელიოზმა უფლის კვართი სიყვარულითა და სასოებით წამოიღო საქართველოში, როგორც დიდი სიწმიდე. მცხეთაში ელიოზს ტირილით მიეგება თავისი და, სიდონია. მან გულში ჩაიკრა ჯვარცმული მაცხოვრის კვართი და მწუხარებისაგან სული ჩაუტევა. ელიოზმა თავისი და ასევე, კვართიანად დამარხა.

გავიდა რამდენიმე საუკუნე და, აი საქართველოში შემობრძანდა წმიდა ნინო, რათა ჯერ კიდევ წარმართი ქართველები ქრისტეს რჯულზე მოექცია. ღვთის შემწეობით წმიდა ნინომ დაამხო ქართველთა კერპები — არმაზი, ზადენი, გაცი და გა (გაიმი), და საქართველოში ქრისტიანობა გაავრცელა. საქართველოს მეფემ — მირიანმა და დედოფალმა — ნანამ აღიარეს ქრისტეს რჯული და ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადეს. მირიან მეფემ ტაძრის მშენებლობის დაწყება ბრძანა. ტაძრის მთავარი სვეტისათვის კვართზე ამოსული დიდი ნაძვი მოჭრეს და სვეტი გამოთალეს, მაგრამ ხუროებმა ვერ შეძლეს სვეტის აღმართვა. მაშინ შეიკრიბა მრავალი ადამიანი, ათას ხერხს მიმართეს, მაგრამ სვეტს ძვრა ვერ უყვეს, შეწუხებულებმა დატოვეს ოქაურობა და წავიდ-წამოვიდნენ. მხოლოდ წმიდა ნინო და მასთან ერთად თორმეტი დედა დარჩნენ იქ. წმიდა ნინო მთელი ღამე ლოცულობდა და ცრემლით ევედრებოდა უფალს შემწეობას. გამთენიისას, ცისკარი რომ ამობრწყინდა, ციდან გადმოვიდა ნათლით მოსილი, ცეცხლოვან ზეწარში გახვეული ჭაბუკი, და სამი სიტყვა უთხრა წმიდა ნინოს. ნინო პირქვე დაემხო მის

ფერხთით. ჭაბუკმა სვეტს ხელი მოჰკიდა და ზეცისკენ წაიღო. თვითონ ის გაუჩინარდა, სვეტი კი ნელნელა, ცეცხლის სახით დაეშვა ძირს და ედამიწიდან თორმეტი **ფართის** სიმაღლეზე გაჩერდა. იგი საოცარ სინათლეს გამოსცემდა. როდესაც გათენდა და ხალხმა თავი მოიყარა, ყველამ იხილა მბრწყინავი სვეტი, სვეტი ცხოველი, ანუ ცოცხალი... იგი ხალხის თვალწინ დაეშვა ედამიწაზე და თავისსავე საძირკველზე აღიმართა. ამით უფალმა მიანიშნა წმიდა ნინოს, მირიან მეფესა და მთელ ხალხს, რომ ტაძარი სწორედ ამ ადგილზე უნდა აშენებულიყო. უფალმა ინება, რომ პირველი ქართული ტაძარი მის კვართზე აგებულიყო. ეს უდიდესი წყალობაა და ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, როგორი მოწყალება უფალი, უნდა გვწამდეს მისი და ვიცავდეთ მის მცნებებს.

14 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია სწორედ ამ ორ უდიდეს სასწაულს იხსენებს — ეს დღე არის დღესასწაული უფლის კვართისა სვეტიცხოვლისა. ამავე დღეს იხსენიებიან პირველი ქართველი ქრისტიანებიც: აბიათარ მღვდელი და მისი ასული სიდონია, მეფე მირიანი და დედოფალი ნანა.

ამ დღესასწაულს, ტაძრის სახელწოდების მიხედვით, სვეტიცხოველობა ჰქვია და რადგან სვეტიცხოველი საქართველოს უძველეს დედაქალაქში, მცხეთაშია აღმართული, მას მცხეთობასაც წოდებენ.

14 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, სასჯიმო წირვას ატარებს სვეტიცხოვლის ტაძარში. წირვის შემდეგ კი, არაგვისა და მტკვრის შესართავთან, იმართება საჯარო ნათლობა.

ამ დღეს ზეიმობს ყოველი ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანი.

წ ყ რ თ ა — ხელის ნაწილი იდაყვიდან შუა თითის წვერამდე; ძველებური სიგრძის საზომი — წყრთის ტოლი.

მხატვარი ზაურ დეისაძე

კუკური გოგიაშვილი

მაგდა კვაჭანტირაძე

ბავშვებო, იმათ შორის, ვისაც თქვენთვის ბევრი შესანიშნავი ლექსი თუ მოთხრობა მოუძღვნია, ბევრი პიესა შეუქმნია და, რაც მთავარია, სიყვარული, სიკეთე უსწავლებია, — ბატონ კუკური გოგიაშვილის სახელი გამორჩეულია. წლების მანძილზე მუშაობდა იგი ჩვენს ჟურნალში და განუზომელი ამაგი დასდო ქართველი ბავშვების აღზრდის საქმეს. წინა თაობების პატარები სიამოვნებით კითხულობდნენ მის საბავშვო პიესებს „ფარავნელი ჭაბუკი“, „ბაღნარში“, „ალუბლები ყვავიან“; სიხარულით ესწრებოდნენ თოჯინების ქართულ თეატრში დადგმული პიესების („ბეკეკა“ „რწყილი და ჭიანჭველა“, „რუხი მგელი“ და სხვები) წარმოდგენებს. მაგრამ განსაკუთრებით მაინც ლექსებით ხარობდნენ.

ამობრწყინდა მზე კაშკაშა,
ქარს უბრძანა, რაღას უცდი,
დატრიალდი, დაუბერე,
შორს გაფანტე ზამთრის სუსხი.“

ხალისიანი სტრიქონები ფეხბურთის მოყვარულებს სტადიონზე ეპატიუებოდა:

სტადიონთან უთენია
ატუდა ერთი ქალანი,
ვინ ტრამვაით მოხრიგინდა,
ვინ მობრძანდა მანქანით,
შესასვლელში შეიჭარა
თაგუნია ზაქარია,
შაშვი თედო, ჩხიკვი მათე,
სუეველანი აქ არიან...

ვის არ შეხვდებით ამ შესანიშნავი პოეტის ლექსებში — ბაჭიებს თუ დათუნიებს, მელაკუდ>ებს თუ ონავარ ბავშვებს აგერ მსუნაგი ბელები ათული და ბათული გაიძახიან:

ბბლი, ბბლი,
ბბლი, ბბლი,
თაფლი გვინდა,
თაფლი, თაფლი.

ჟურნალ „დილის“ ძველ ნომრებში კუკური გოგიაშვილის ბევრ გონებამახვილურ გასართობს — რებუსებს, „ყირამალა“ ლექსებს, „ხითხითელას წისქვილში“ დაფქულ სასაცილო ამბებს შეხვდებით.

ბევრ რამეს, თუ მოინდომებთ, მის წიგნებში წაიკითხავთ. მე კი მინდა გითხრათ, რომ შესრულდა ბატონ კუკური გოგიაშვილის დაბადების 80 წლისთავი და ჩვენი ვალია, მუდამ გვახსოვდეს პატარების ამ დიდი მოამაგის სახელი.

კალია

მინდორში დახტის კალია, —
მარწყვი ეამა ძალიან,
ცხრა კილო მარწყვი შეჭამა,
ცხრა კოკა წყალი დალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თაგუნა და ლამპარი

იყო კუდაბზეკია,
მეტიჩარა თაგუნა,
მოდიოდა სიმღერით:
— ბედმა ეს რა მარგუნა,
ცამპა - ცუმპა, ბა - მბა - რი,
გზაზე ვნახე ლამბარი,
დავდგამ ტახტის ბოლოსა,
გავანათებ სოროსა.
წინ შეეხვდა ვირთხა
და თაგუნას ჰკითხა:
— ეს რა მიგაქვს, თაგუნა?
— ძია, ბედმა მარგუნა,
ცამპა - ცუმპა, ბა - მბა - რი,
გზაზე ვნახე ლამბარი,
დავდგამ ტახტის ბოლოსა,
გავანათებ სოროსა.
ვირთხამ გადიხარხარა:
— ეგ არა ქნა, ბატარავ,
დაგიდგება თვალები,
არ ქნა, გენაცვალები.
გზა განაგრძო თაგუნამ:
— ბედმა ეს რა მარგუნა,
ცამპა - ცუმპა, ბა - მბა - რი,
გზაზე ვნახე ლამბარი,
დავდგამ ტახტის ბოლოსა,
გავანათებ სოროსა.
საღამო ხანს სოროში
ლამბა დგას და ანათებს
და იმ ლამბრის გარშემო
ბუქნა ცეკვა გამართეს.
თაგვებს ბედმა უმტკუნა,
გაჩნდა ფისო კრუტუნა,
თათი მაღლა ასწია,
ატეხა გაწამაწია.
ფისომ თაგვი ნაცარა
სადღაც წაიცანცალა...
არ ერწმუნა წრუწუნა
ბიბამბისის სიმართლეს...
ამის შემდეგ თაგვები
გაურბიან სინათლეს.
ახლაც იქ დგას ლამბარი...
გაგვითავდა ზღაპარი.

ილუსტრ. ბესო ხიდაშელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებლის დღე

მასწავლებელი ყველას გვყოლია, შინ თუ გარეთ... მშობლები, წიგნები, ტელერადიოგადაცემა, ოჯახში მომსვლელი — ნათესავ - მეგობრები — ამათგან იწყებს სწავლას ბავშვი; მიდის სკოლაში და იქ ხვდება სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს. მაგრამ გარდა ამა თუ იმ საგნისა, მასწავლებელი, ნამდვილი მასწავლებელი ბავშვს ბევრ სხვა რამესაც ასწავლის, წვრთნის მას გონებრივადაც და ზნეობრივადაც. დიდია ნამდვილი მასწავლებლის — პედაგოგის როლი ადამიანის კაცად ჩამოყალიბებაში.

„დილის“ ამ გვერდებზე დაბეჭდილია ზოგი დიდი პედაგოგის გამონათქვამი თუ დიდი პოეტებისა და მწერლების აზრი ცოდნაზე, განათლებაზე; ზოგი დიდი მოსწავლის სიტყვა თავის ღირსეულ პედაგოგზე. წაიკითხეთ და დაიმახსოვრეთ!

თვით უდაბნოც სწავლის ძალით უნივერსიტეტად გარდაიქმნება.

ვაჟა ფშაველა.

ჩვენ მან შეგვქმნა,
ჩვენი ცეცხლი მან გამოზარდა,
ქვაკუთხედი ჩვენი არსების მან გამოთალა,
მან აღანთო წმინდა ლამპარი.

დიდი რუსი პოეტი პუშკინი თავისი მასწავლებლის შესახებ.

მოსწავლე უნდა მიაჩვიო არა მარტო აზროვნებას, წადილსაც. ცოდნა მკვდარია, თუ არ არის ინიციატივა და თვითმოქმედება.

ნ.უმოვი — რუსი ფიზიკოსი და პედაგოგი

განათლება უნდა იყოს ჭეშმარიტი, ნათელი და მკვიდრი.

იან ამოს კომენსკი — ცნობილი ჩეხი პედაგოგი

მეცნიერება მრავალ ეჭვთა გადაწყვეტაა. დაფარულის ხილვაა. იგი თვალია ყველასათვის. ბრმა არის ის, ვისაც ცოდნა არა აქვს.

(„ჰიტოპადეშა“, ანუ „სასარგებლო დარიგებანი“ — ძველინდურ სამწერლობო ენაზე — სანსკრიტზე დაწერილი იგავ - არაკების კრებული XIII საუკუნისა).

სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი.

დავით გურამიშვილი

„მეფე ესეთი ხამს: გლახაკთა, მონათა, გლეხთა მსახურთა, აზნაურთა, თავადთა, დიდებულთა, მეფეთა და ხელმწიფეთა წესი, რიგი, შრომა, ჭირი, მუშაკობა, საქმე, ვაჭრობა, სმა - ჭამა და მიცემა იცოდეს“.

ამიტომ აი, როგორ ზრდიდა მეფე ფინეზის შვილს, უფლისწულ ჯუმბერს ბაბუკი ლეონი.

„ნადიმად დაჯდა ლეონ. სამი დღე და ღამე წართვით სვა. ჯუმბერ მწდედ დაიყენა, არც დასვა და არც არა აჭამა. ფეხზე დგომითა და შიმშილითა ესრეთ ულონო იქმნა, ქვე დაეცა და შეწუხდა. მერმე უბრძანა დაჯდომა და ჭამა პურისა.“

„...ლეონ ნადირობდა და ლხინობდა, არას ზრუნავდა. დღეს ერთსა წავიდა ნადირობად. თვით თოხარიკსა ცხენსა შეჯდა, ჯუმბერს ხელთ ქორი შეუსვა, უცხენოდ წინ წაიმძღვანა, საღამომდინ არბენინა, ქორსა და ქორის ნაბულს ადევნა. მეორე დღეს მწევრები მისცა ხელთა. მთათა და გორათა არბენინა. ფერხთსაცმელი გასცვივდა და ფეხები დაუსქდა, სისხლმან დენა დაუწყო. მესამე დღეს წინ შიკრიკად გამოიმძღვანა. მეტად დაშვრა, მალ - მალ დაეცემოდის, და არ მოეშვა, მანამდინ არბენინა, სადგომს მიიყვანა“.

„დღესა ერთსა ლეონ გაწყრა ცუდად. შეიპყრა ჯუმბერ უბრალოდ და ერგასი ჯოხი ჰკრა და დიდად ჰგვემა.“

როცა მეფემ ეს გაიგო, განრისხდა და ლეონის მოკვლა მოინდომა. ლეონმა კი აი, რა უთხრა პასუხად:

„თუცა ეგოდენ ხანს ფეხზე არა მდგარიყო, რამცა იცოდა მონათა, მსახურთა და მწდეთა ჭირი, თუ ზედგომასა რა გარჯა აქვს? თვით მეფე ზის, უნებს — ადგება, უნებს — დაჯდება. მათი სამსახური ვითა სცნოს, რას მიიჭირვებენ მისთვის? დღე ყოველ ზე დგანან და დაითმენენ. თუცა შიმშილით არ მომყმარიყო, რამცა იცის, გლახაკთა და ულონოთა შიან, ანუ სხვათა ვისმე საჭმელი აკლს? იგი ყველას კეთილსა სჭამს და სვამს, არ მოიმშევს. არაკად თქმულა: მაძღარი კაცი მომყმარს პურს წვრილად უფშვნეტდა და ზედ დაჰყვიროდა — რად ღორულად სჭამო! თუცა უცხენოდ სვლა და ფეხშიშველობა არ გამოეცადა, ბაზიერთა, შიკრიკთა და ყოველთა მკვირცხლთა ჭირნი რითა სცნას, რომლითა სიბრალულითა შეიბრალებდა, იგი მერანთა ანუ თოხარიკთა ცხენთა ჯდეს, გინა ეტლითა ვიდოდეს? არგნისა სიმწარე არ ენახა, რა გამწყრალიყო მონათა ზედა, ებრძანა ასისა და ორასისა არგნისა კვრა, სხვათათვის მეტი და სხვათათვის ნაკლები, თვით მცირე სატანჯველი ეგონებოდა. აწ ყოველთა გლახაკთა, ულონოთა და მდაბალთა ჭირნი მისწავლებია.“

სულხან - საბა ორბელიანი „სიბრძნე სიცრუისა“

დუტუ მეგრელი



შეუძლებელია ქართველებში იყოს თუნდაც ერთი ბავშვი, რომ არ იცოდეს ყველასათვის საყვარელი და საამაყო ლექსი:

მე ჰატარა ქართველი ვარ,
კავკასიის მთების შვილი,
და განცხრომით სხვაგან ეოფნას
მირჩევნია აქ სიკვდილი.
ქართლ - კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო
ყველა ჩემი სამშობლოა
საყვარელი საქართველო...

ამ ლექსის ავტორი იყო დუტუ მეგრელის სახელით ცნობილი ქართველი პოეტი დიმიტრი ხოშტარია, და ყველას გმართებთ, გახსოვდეთ მისი სახელი, სიყვარულსა და პატივს მიაგებდეთ იმ ადამიანის ხსოვნას, ვინც ერთიანი და ძლიერი საქართველოს სიყვარულს გასწავლიდათ. ახლა წაიკითხეთ დუტუ მეგრელის სხვა ლექსი — „ნანინა“, და იცოდეთ, ეს ძილისპირული იმისთვის აძინებს ბავშვს, რომ გაძლიერებულმა და გაღონივრებულმა გაიღვიძოს და ქვეყანას გამოადგეს.

ნანინა

ნანინა, ნანა, ნანინა,
ნანაო, შვილო, ნანაო!..
იქ ზეცა ეკავდეს მფარველად,
მოკეთედ აქ ქვეყანაო.
ჩემი ლოცვა და კურთხევა
გდევდეს მარადის თანაო —
ნანინა, ნანა, ნანინა,
ნანაო, შვილო, ნანაო!..
გაიზარდე და გაიზსე,
ვით თხუთმეტი დღის მთვარეო,
მტერს დაუყენე თვალები,
მოყვარე გაახარეო.
იარე გამარჯვებითა
ყოველთვის ყოველგანაო —
ნანინა, შვილო, ნანინა,
ნანაო, შვილო, ნანაო!..
ეებრალებოდეს ჩაგრულნი,
შეიტკბე, შეიყვარეო.
არც დაივიწყო არასდროს
შენი სამშობლო მხარეო:
სხვაგან სიცილსა ეერჩიოს
ტირილი იმასთანაო —
ნანინა, ნანა, ნანინა,
ნანაო, შვილო, ნანაო!..

მხატვარი **ლალი ლომთაძე**

ᲠᲝᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ

ᲛᲘᲮᲐᲘ ᲖᲘᲠᲘ

ᲐᲚᲑᲐᲗᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲒᲐᲥᲕᲗ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲝᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲬᲔᲚᲘᲡ“. ᲫᲠᲘᲚ ᲒᲐᲫᲔᲪᲚᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ. ᲡᲘᲜᲓᲘᲪᲐᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲚᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲪᲚᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘᲗ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲧᲠᲘᲡᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. ᲓᲐᲒᲠᲔ ᲛᲮᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲜᲓ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეჯიბრება

ლია კობალაძე

ეჯიბრება ქუჩა — ქუჩას,
ეჯიბრება ეზო — ეზოს;
— ძირს ნუ დაერი ნაგავს, უჩა,
— ძირს ნუ დაერი ნაგავს, რეზო.
რად გჯირდება, ბიჭო, გურამ,
შეხსენება ასჯერ დღეში:
ნაგავსა და სარახურას
ჩაუძახე სანაგვეში!
გაკეთდება საქმე, განა,
ბუხლუნით და ვაი - ვიშით?
ეხ, მანანა, ეხ, მანანა,
ეს შეშვენის მამულიშვილს?
ჩვენი ოფლით, ჩვენი ხელით,
ჩვენც შევმატოთ ქალაქს ეშხი,
ჩვენც დავგაპოთ დასუფთავილი,
ჩვენც მოეხრეშოთ მოსახრეში.
ვარჯა - შრომას სათაკილოდ
ნუ მიიჩნევ, ჩემო ილო,
ხარმაცი რომ ბრძანებულხარ,
ბიჭო, არსად გაამხილო!
მერცხალივით ფრინავს ლიკა,
ზეზეურად კი არ ეკინთავს,
ბევიანი და ხმაჯეჯიკა
საქმიანობს მუყაითად.
ეჯიბრება ლადო ლალას,
ეჯიბრება ნუგზარს ნუშო
და უვლიან დედაქალაქს
ბეჯითად და სანიმუშოდ!

მხატვარი ბესო ხიდაშელი

ღირღიტები

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

მე და ჩემს უმცროს ძმას, — ანზორას ხიმშია პაპა ღირღიტებს გვეძახის. მე და ანზორა როცა რამეზე ავტყდებით, ვიცინით, ვმღერით, ერთმანეთს ლაპარაკს არ ვაცდით, პაპა იტყვის:

— ბიჭო, რა ღირღიტებივით აჰყვებით ხოლმეო.

პირველად რომ გვითხრა, არ ვიცოდით, რას ნიშნავდა ეს სიტყვა.

— ღირღიტები? — ჩაიცინა პაპამ, — წინათ ხარის **გუთანს** აქეთ - იქით ორი დიდ - პატარა რკინის გორგორა ჰქონდა. დიდს, რომელიც კვალში მიგორავდა, კვალის ღირღიტას ვეძახდით, პატარას, რომელიც მოუხნავ მიწაზე მიგორავდა — ველის ღირღიტას. ჩადგებოდა **გუთნისდედა** კვალში, გუთნის სახელურებს მაგრად ჩასჭიდებდა ხელს და იტყოდა: აბა, **მეხრეო**, შენს გაზრდას, გაუჯავრდი მაგ დალოცვილ ხარებსო. მეხრეც დასჭყივლებდა ხარებს: ჰაამ, ჰოო, თქვენი ჭირიმეო, და ისინიც გაიწევდნენ - დაიძვრებოდა გუთანი, **სახნის - საკვეთი** ღრმად წავიდოდა მიწაში და ღირღიტებიც მოჰყვებოდნენ ღრიჭინ — ჭრიალს.

ვადი, ვამოდი გუთანოო,
ღირღიტავ, ბანი უთხაროო,
სახნის - საკვეთო, გაუსვიი,
რომ კაჭაჭს ძირი უთხაროო! —

დაამღერა ხიმშია პაპამ და განაგრძო: მერე, ჩემი ღირღიტა ბიჭებო, რაც ტრაქტორი გამოიგონეს, ძველი გუთნები დაავიწყდა ხალხს. იმ ტიალი ომიდან რომ დავბრუნდი, ვიშოვე გუთნის ორი ღირღიტა და ვირის ტაჭჭა გავაკეთე, მას აქეთ მაქ და მაქ, შვაბამ შიგ ჩემ მერცხალა სახედარს და ვენახში

მხატვარი **თამაზ ხუციშვილი**

1. **გუთანი** — ძველად, — მიწის სახნავი იარაღი.
2. **გუთნისდედა** — მიწის მუშა, რომელიც გუთანს კვალში მისდევდა და ხელით აწესრიგებდა მის გეზს და ხვნის სიღრმეს.
3. **მეხრე** — ბიჭი, რომელიც ხვნის დროს გუთნის უღელზე იჯდა და ხარებს ერეკებოდა.



— ჩვენი ინსპექტორი ნახე?

— არა, რა უნდა, არ იცი?

— ნომრები რატო არ აიღოო!

— რა ნომრები, კაცო!

— ემაგ მერცხალას რომ უნომროდ დააქროლებ, არ შეიძლებაო! — სიცილით ამბობს ის კაცი და სხვებიც აჰყვებიან.

— ხიმშია ძიავ, — ახლა სხვა გამოტყვრება, — ამას ყურს ნუ უგდებ, ხომ იცი, რა ვაგლახია, ერთი ეგა თქვი, რა ნომერ ბენზინს ხმარობს შენი მანქანა?

ხიმშია პაპა კეთილია. იმათ ხუმრობაზე თვითონაც იცინის და არც პასუხს აგვიანებს.

— ე, ლანზღანდარებო, მე მგონი ვენახები ბალახმა და ჭრაქმა შეგიჭამათ, თქვენ კი სამაიმუნოდ გამოქუჩებულხართ და ყბედობთ. აფსუს, პურო, რამდენ უსაქმურს ეჭმევინები?

მაგრამ ერთხელ კი ძალიან გაჯავრდა ხიმშია პაპა.

შარშან, შემოდგომაზე, რთველი რომ გვქონდა, მე და ჩემმა ძმამ მოვილაპარაკეთ, ყურძნის კრეფაში ერთმანეთს გავჯიბრებოდით. ავიღეთ მაკრატლები, მოვიმარჯვეთ ვედროები და ვაზის რიგს აქეთ - იქიდან ამოვუდექით. ვკრეფთ მწიფე მტევნებს, ვყრით ვედროებში და თან ენას არ ვაჩერებთ, ვლაპარაკობთ, ვლაპარაკობთ, მერე სიცილი აგვიტყდა. ჩემი ძმა ხომ იცეთი ვინმეა, თითი რომ დაანახო, ახითხითდება. მეც იმის ხითხითზე მეცინება. ვიცინით, ვყვებით აბდაუბდას. ვკრეფთ ყურძენს, ვჩქარობთ, ზოგჯერ უმაკრატლოდ ვგლეჯთ ლერწიდან მტევნებს, ვედრო რომ აივსება, ვენახის ბოლოში გოდრებთან მივარბენინებთ, ვაპირქვავებთ შიგ, ჩქარა ვბრუნდებით და გაფაციცებით ვკრეფთ ყურძენს.

უცებ ხმა მოგვესმა:

— ეს რა უქნიათ ამ მაიმუნებს ამათა, კაცო, ეს რა უქნიათ! მთლად დაუღუპიათ ყურძენი!

ვხედავთ, ჩვენ რომ ვკრეფდით, ხიმშია პაპა იმ რიგს მოსდევს, ათვალიერებს და იმისთანა გააკეთებული სახე აქვს, მეტი არ შეიძლება.

— დაღუპიათო? რა ექნენით იმისთანა? — შევაცქერდით მე და ანზორა.

— ეხლაეე გამოდით, აქ მოდით, ყურძენს ხელი არ დააკაროთ, — დაგვიტატანა პაპამ.

მივედით.

— ნახეთ, აბა, ამას ჭკუათმყოფელი იზამს განა? — პაპა დაიხარა, ვაზის ძირიდან ჯერ ყურძნის კუფხალი აიღო, მერე მიწაში ჩაფანტული მარცვლები წამოკრიფა.

გავშრით. სირცხვილის ალმური ყურებზეც კი მოგვეკიდა, სიჩქარეში მტევნები დაგვეწყვიტა, ჩამოგვეკიწა. ვაზის ძირებთან კუფხალი, კიწი და მარცვალი ეყარა.

6. ხ ვ ი ნ ჭ ა — მსხვილი ხრეში.

7. ჭ რ ა ქ ი — ვაზის დაავადება, ფოთოლს ახმობს და ზოგჯერ მოსავალს ღუპავს.



მაგით დავდივარ, იმოდენა საქმეს ეგ მაკეთებინებს. მართლაც ხიმშია პაპა ვენახში ტაჭკით დადის. მე და ანზორა ბევრჯერ ავტორღიალებულვართ. დავსხდებოდით ხოლმე იმის ტაჭკაზე, მიჩაქჩაქებს გზაზე მერცხალა - სახედარი და გააქვთ ღრიჭინ - ჭრიალი ხვინჭაზე ბორძიკ - ბორძიკ აგორებულ ღირღიტებს.

ჩვენს სოფელში მარტო ხიმშია პაპას აქვს ვირის ტაჭკა და ვინც თვალს მოგვკრავს, ეცინება, ან ზოგი ხუმრობის ხასიათზე დგება - აქაოდა მანქანები გვაქვსო, პაპას ხან რას ეუბნებიან, ხან რას:

— ხიმშიავ, ჰაი, ხიმშიავ! — აჩერებს ერთი კაცი პაპას.

4. ს ა ხ ნ ი ს - ს ა კ ვ ე თ ი — გუთნის ნაწილები (რკინისა, მიწას ჭრიდნენ და ბელტს იღებდნენ.

5. კ ა ჭ ა კ ი — მაღალი და მსხვილი ბალახის გამხმარი ღერო.

— რამდენი კიდევ დასაკრეფი დარჩენიათ, მოდი და ამათ საქმე ანდე, — ამ სიტყვებით პაპამ ვაზის ფოთლებში ხელი შეჰყო და იქ მიმალული ვეებერთელა მტევანი მოწყვიტა.

რა გეეთქმოდა, ვტყუოდით. ვართ გატკბარენილები, საცაა ანზორა ბღავილს გააბამს.

პაპამ ხელი ჩაიქნია და წავიდა.

მე და ანზორა ისევ ვაზის რიგის თავში ჩავდექით. მოვყვავთ მძიმემძიმედ და, რაც რამე იყო ძირს დაცვენილი, სულ პირწმინდად ავკრიფეთ. დარჩენილი მტევნები მაკრატლით შევაჭერეთ ვაზს. ამ მრცვალ-კუფხლებით თითო ვედრო-კვ-დევ გავავ სეთ და გოდრებთან ჩასაცლელად მივედით. მოვიდა ხიმშია პაპაც.

— ე, ღირღიტებო, არ გეგონოთ, რომ სიძუნწემ გამაჯავრა, არა, მე ის მინდა, სხვისა ნაჯაფარის ყადრი იცოდეთ!

ჩვენ ხმას ვერ ვიღებდით. ჩუმად შევცქეროდით პაპას დიდრონ, გაუანგისფერებულ, დაკოჟრილ და შაბიამნით ჩალურჯებულ ხელებს.

საუბარი

აბას სეჰეთი

რას ვაღმერთებ, რას შევხარი
მთელი ჩემი დღენი? —
საყვარელი,
სანატრელი
სამშობლოა ჩემი.
მასზე ვფიქრობ,
მასზე ვზრუნავ
მუდამ — დღით თუ ღამით,
განა მისი დავიწყება
ძალმიმს ერთის წამით?!
იგი ყველას დედაა და
ეწყალობელი ღმერთი,
მან შვილები გამოგვზარდა
საკუთარი მკერდით.
ის რძე მიჩქეფს დღეს ძარღვებში
ახალგაზრდობულ სისხლად,
თუ დასჭირდა, ამ სისხლს მივცემ
ასე, მისხალ-მისხალ.
მე სამშობლოს დიდღირსებულ
სახელს ვფიცავ წმინდას,
ის თუ აღარ მეყოლება,
არც სიცოცხლე მინდა!
მამა-ბაბის მკლავებს ინახავს
მშობლიური მიწა.
და შვილების მომავალიც
ამ მიწაზე ყიცან.
რა კაცია, ვინც არ იღვწის
ამ მიწის და ცისთვის,
მოღალატის სახელს ვარქმევ,
ვინც არ ცოცხლობს მისთვის.
ვისაც იგი არ უყვარს და
არ დაჰხარის მუდამ,
ასეთები არც სამშობლოს
ლამაზ მთა-ბარს უნდა!

ახერბაიჯანულიდან თარგმნა **ლეილა ერაძემ**

ცხრათვალა მზის სათვალე

თამილა გოგოლაძე

მხატვარი ვაჟა ქურხული

ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო და არის, იყო და იქნება მარად დიდი, მარად თბილი ცხრათვალა მზე.

ეჯდა მზე გაბადრული თავის ოქროსფერ სასახლეში, ოქროსფერ ტახტრევანზე და ფერად - ფერადი მინის ნატეხებით მოზაიკურ სურათს ხატავდა. ხშირად ერთობოდა ასე ცხრათვალა მზე, მაგრამ ახლა ნეტავ ვის სურათს ხატავდა? ვისი და უცნობი მშვენიერი გოგონასი, ერთხელ რომ დაინახა პატარა ბაღჩის კუთხეში, ვარდების კრეფაში გართული.

ძალიან უყვარდა ცხრათვალას ვარდები: დილის ცვარნაპკურებს დახედავდა, ნეტარებით შეისრუტავდა მათს სურნელოვან ნექტარს და გამხიარულებული უნათებდა ადამიანებს, ცხოველებს, ფრინველებს, მცენარეებს — ყველას, მთელ სამყაროს.

ეს პატარა გოგონაც ერთ დილა - სისხამს აღმოაჩინა, აღმოაჩინა და მოიხიბლა მისი მშვენიერებით. საერთოდ მზეს ხომ უყვარს ყველაფრის გამოჩენა, გამოაშკარავება, განსაკუთრებით სილამაზისა. ჰოდა, დაინახა შავი კულულები, ხშირწამწამებიანი შავი თვალები, თეთრყირმიზი სახე და პაწია წითელი ტუჩები, დაინახა და მოინდომა სასახლეში ამ გოგონას სურათი ჰქონოდა. ეძებს მხატვარი მზე ფერადებს, ეძებს და ბრაზით აქეთ - იქით ისვრის ფერად - ფერად ნატეხებს: არც ეს ვარგა, არც ის. შავი ფერი არ უყვარს მზეს, მაგრამ გოგონას თმები შავზე უშავესია და რაც მზეს ფერები მოეპოვება, მათ შორის არც ერთი არ არის ასეთი შავი.

ოჰ, ისევ შავ დამეს უნდა დაესესხოს, კუკუნათებას. არადა, როგორ არ უყვარს მზეს სესხება! თხოვნაზე კუკუნათება ღამე დაიკუჭრება, ვარსკვლავა თვალებს ეშმაკურად ააპაჭუნებს და მერე, სამაგიეროდ, რამდენიმე საათს ითხოვს მზისგან. არ უნდა, არ უნდა და არ უნდა!

უნდა, უნდა!

მზემ ტელეფონის ყურმილი აიღო და ოხვრა-ხვნეშით აკრიფა კუკუნათებას ნომერი:

— ბნელო, უკუნო და გულბოროტავ, ღამე მშვიდობისა, ერთი ათიოდე შავფერა მინის ნატეხი გამომიგზავნე სესხად ქარის ხელით!

— გაახლებთ მზეო ბატონო, მზეო მშვიდობისა, გაახლებთ, მაგრამ ხომ იცით, მეც მიჭირს შოვნა...

— ნუ წუწუნებ, რას ითხოვ სამაგიეროდ?

— ჰი, ჰი, ჰი. ისეთს არაფერს. სულ უბრალო რამეს.

მზეს ძალიან უნდოდა შავფერა ნატეხები. ამიტომ აჩქარებით, მოუთმენლად მიმართავს ღამეს:

— მითხარი და მორჩა. ხომ იცი, სიტყვას არ გავტეხ!

— კი ბატონო. ერთი დღით ჩემი საჩუქარი გაიკეთე და ბარი - ბარში ვიქნებით.

— რა საჩუქარი, როდის გიჩუქებია რამე, შე კაი კაცო?

— აღარ გახსოვს? დაბადების დღეზე სათვალე რომ გაჩუქე, შავი სათვალე, ოქროს რკალებით?

მზემ მაგრად ამოიოხრა, მერე ტელეფონის ოქროს ყურმილში გაბრაზებით ჩაჰყვირა:

— კარგი, შენ ნატეხები გამომიგზავნე და ხვალვე გავიკეთებ იმ შენს ოხერ სათვალეს!

დამემ სიხარულით ჩაიხითხითა: — მე ვიცი, ვიცი, რასაც ვიზამ! — და ქარს შავი ატლასის ტოპრაკით შავ-შავი ნატეხები გაატანა მზე ბატონთან.

დაღონდა მზე: იცის, — როგორც კი გაიკეთებს სათვალეს, იმწამსვე სიბნელე ჩამოწვება დედამიწაზე. ვინ იცის, რამდენი შავი საქმე მოხდება დღისით - მზისით?! ან ამ ალქაჯ კუკუნათებას რა აქვს ჩაფიქრებული? მაგრამ მე ხომ დავინახავ, რასაც იქმს, და ვაი მაგას! ახლა კი სურათს მივხედავ.

ბნელ კუკუნათებას კი თურმე ის პატარა გოგონა მოსწონებია, შავკულულებიანი, დამესავით შავი თვალებითა და ბროლივით თეთრი პირისახით. უნდა მზის ჩრდილქვეშ იხილოს და მერე თავის შავ სამეფოში გაიტაცოს. კარგად იცის:დღისით მზეს ენდობიან გოგონას მშობლები, დამით კი არ დაანახვებენ შვილს კუკუნათებას. პირველად რომ ნახა, მთვარიანი დამე იყო ჰოდა, ერთი წუთით გამოიცქრიალა გოგონამ. მაშინვე დაუძახეს და შინ შევიდა. ახლა კი, მზე რომ ცხრა ბრიალა თვალზე შავ სათვალეს წამოიცვამს, დამე მაშინვე ხელს დასტაცებს გოგონას და ცხრა მთას იქით, თავის ბნელ სამეფოში გაიტაცებს; მერე ვარსკვლავებს აჩუქებს, შავებით მორთავს და აღარავის დაანახვებს. მშობლები იტირებენ, იტირებენ და ყველაფერს მზეს დაბრალებენ, მზის დაბნელებას.

აი, გათენდა დილაც, გაიღვიძა ბუნებამ. მაგრამ უცებ, მოულოდნელად, ჩამობნელდა... ვარდების საკრეფად ბაღჩაში გასულმა გოგონამ ველარაფერი დაინახა, ვერც სახლი, ვერც გზა, და ატირდა... დამემ აფრებად დაკეცა ფრთები და ქარბორბალას დავალება მისცა:

— ჩქარა მომგვარე აი, ის პატარა გოგონა!

მზემაც დაინახა თავისი პაწია მეგობარი, დაინახა და მიხვდა კუკუნათებას ზრახვას. რა ქნას? სიტყვას ვერ გატეხს. არადა ბოროტების თანამონაწილე ხდება.

უცებ მოისახრა. ოქროს სასახლის ოქროს კარებს ვითომ შემთხვევით დაეჯახა. სათვალის მინა გატყდა და მეცხრე თვალმა ამაყად გადმოიბრიალა დედამიწაზე.

— მზის დაბნელება დამთავრდა! — დაიყვირა ვიღაცამ.

განათდა ბაღჩა, ვარდები, გზა, სახლი. გოგონამ ტირილი შეწყვიტა, კალათს ხელი წამოავლო და შინისაკენ მოკურცხლა. ქარბორბალამ კი ვარდები, შავი ვარდები მოურბენინა ღამეს.

განრისხებელი კუკუნათება ცეცხლს აფრქვევდა, ყვიროდა, ღრიალებდა. მზეს ვერაფერს შეჰბედავდა. იცოდა, ეშმაკურად ეტყოდა, ბნელში ფეხი წამოვკარ რაღაცას და სათვალე შემთხვევით გამიტყდაო. ისევ მას დაებრალებდა: სულ შენი სათვალის ბრალიაო!

დარჩა დამე პირშიჩალაგამოვლებული.

მზემ კი მეორე დღესვე გოგონას სურათი დაასრულა და თავისი მაგიდის პირდაპირ კედელზე დაკიდა. იღიმებოდა მზე, თვალებს კეთილად წკურავდა და თბილ, ნათელ სხივებს უგზავნიდა დედამიწას.

ელგუჯა ოგოლაშვილი

მხატვარი თამარ მელიქიშვილი

მზეს სხივი ჩაუღვენთია

ჩაშაქრდა ეურმნის მტევანი,
მზისა და თაფლის ფერია,
ბაწაწა გოგო - ბიჭები
ცხრათვალა მზეს უმღერიან.
თვალებგიშერა მარცვალში
ტკბილი ბადაგის წვენია,
ეოველ წვეთში კი
დალოცვილ
მზეს სხივი ჩაუღვენთია.

ტკბილი წყარო

ქვევრებს ვავსებ
ტკბილი წყარო,
უნდა ეველა
ვავასარო.
მოვცქრიალებ
ოქროს ღარით
ჰე, ბადაგი
მზით დამტკბარი!

მზეს შემოდგომა

კაუმარჯოს,
ბებო, შრომას,
დადგა მზეს შემოდგომა!
— რა ახარებს
ბელას, მეშნის?
რა და... ტკბილი ფელამეში,
ჩურჩხელასაც
ვაჭრა კბილი,
ჩადნა, როგორც შაქარტკბილი!

ილუსტრაცია გიორგი ლეონიძისეული

მუსიკა

ჩვენო პატარა მკითხველო. რაკი ოქტომბერში მუსიკის საერთაშორისო დღე აღინიშნება, მოდი, ორიოდე სიტყვა ვთქვათ მუსიკაზე, მუსიკის ძალასა და მშვენიერებაზე. პირველ ყოვლისა — ის ენაა, რომელიც გულიდან გულს გადაეცემა და ამიტომ ყველა ეროვნების ადამიანს ერთნაირად ესმის. ქართულად ნათქვამს ჰხოლოდ ქართულის მცოდნე გაიგებს, ინგლისურად ნათქვამს - ინგლისურის მცოდნე და ასე შემდეგ. მუსიკა კი საყოველთაო ენაა — ყველასათვის გასაგები...

საქართველოში სასწაულმოქმედ ძალას მიაწერდნენ სალამურს, ხალხის რწმენით მისი ხმიერება სათნოებას, სიკეთესა და სიყვარულს თესავდა... კიდევ — არსებობს თქმულება მომღერალ მეჩონგურეზე, რომელსაც თურმე ხელმწიფის მხეთუნახავი ასული უყვარდა. მაგრამ ხელმწიფეს დათქმული ჰქონდა, იმისთვის მიეცა ქალი ცოლად, ვინც უკვდავების ვაშლს მიუტანდა. მეჩონგურე შორ გზას გაუდგა, ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადაიარა და მიადგა ბაღს, სადაც უკვდავების ვაშლი იზრდებოდა. ბაღის მარმარილოს გალავანზე ჩიტიც კი ვერ გადაფრინდებოდა. მეჩონგურემ დიდხანს უარა გალავანს, მაგრამ კარი ვერ მოუძებნა. უკლიდა გარშემო, უკრავდა ჩონგურს და დამდერ - დასტიროდა ისე ტკბილად, რომ მიდამომ სუნთქვა შეწყვიტა, ფოთლებმა შრიალი... და მოხდა სასწაული. მეჩონგურის წინ გაირღვა მარმარილო, გაიხსნა ყვავილებით მოფენილი ხეივანი. ბაღის სიღრმეში გამოჩნდა უკვდავების ვაშლის მფლობელი გველეშაპი. ქვა - გული გაულღვა გველეშაპს, მოწყვიტა ვაშლი, მიაწოდა მეჩონგურეს და უთხრა: ამ გულს არავინ დალაპარაკებია მაგგვარი ენით. დღეს პირველად ვიგრძენი სიყვარული და შებრალებაო. დღევანდელ ნომერში დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებიც ხომ მუსიკის, სიმღერის სასწაულმოქმედ ძალახეა. მარტო ადამიანებსა და ცხოველებს კი არა, ქვებსაც კი ნუსხავდა ავთანდილის სიმღერა.

ასეთი მომაჯადოებელი მომღერალია ბერძნულ მითოლოგიაში — ორფეოსი... ორფეოსს ადარებენ ხოლმე დიდ მუსიკოსებს — არა მარტო მომღერლებს, არამედ ინსტრუმენტალისტებსაც. მაგალითად, ესპანელ პაბლო კასალსზე ამბობდნენ („დილის“ ერთ - ერთ ნომერში ჩვენ მის ბაგშვობაზე გიამბობდით), „ისა ვიოლონჩელო, როგორც ორფეოსის ლირა, აერთიანებს ყველა ერის, ყველა კუთხის ადამიანებსო“, და კიდევ, თვლიდნენ, რომ მას ჰქონდა უნარი გადაეცა ადამიანებისათვის „ის, რაც უფრო და უფრო „მომველებულად“ ითვლება ამ ქვეყნად — კაცთა სიყვარული, და ის, რაც ასე აკლია ჩვენს პირბნელ ეპოქას - იმედი“. ჩვენ კიდევ გიამბობთ ხოლმე მუსიკაზე და მუსიკოსებზე. ახლა კი დავამთავროთ გიორგი ლეონიძის სტრიქონებით მომღერალ ბიჭზე:

მღეროდა, კი არ მღეროდა,
თითქო ციურ ცეცხლს ჰპერავდა,
ჩაიღაღადა, ჩაწმახნა,
ჩაწურა ოქროსფერადა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცანა

სიხარულით მოდის ჩემთან,
კლასში გამრჯე ვინც არი,
აჭრელდება ხოლმე ცარცით
ჩემი გულისფიცარი,
ან ვკიდივარ, ანდა ვდგავარ,
რა ვარ, გამოიცანი.

ზოთა ამირანაშვილი



	ძ	ვ	ა
ლ	ჭ	ვ	ე
ა	ჭ	ი	ა
	ი		ა

წაიკითხეთ

ჭადრაკის მხედრის სვლით წაიკითხეთ დიდი ქართველი მწერლისა და მოღვაწის სახელი და გვარი. სექტემბერში 85 წელი შესრულდა მისი გარდაცვალებიდან და 55 წელი მას შემდეგ, რაც მისი მკვლელობის ადგილას აღიმართა მისი ხსოვნის ობელისკი.

ბორის კანდელაკი

თავსატეხი

უჩა სახლთხუციშვილი

ბავშვებო, იმისათვის რომ გამარჯვების დროშა ააფრიალოთ ციხესიმაგრის კოშკზე, საჭიროა კიბეზე, ქვემოთ მოცემული ნომრების მიხედვით ჩაწერთ პასუხები — კიბის თითო საფეხურზე თითო ასო. თუ სწორად ჩაწერთ პასუხებს და ციხესიმაგრის კოშკზე ასვალთ, უფლება გექნებათ გააფერადოთ დროშა.

1. სიო — ნიავი — ?
2. ცხოველი არის ვეება,
   გამოსაცნობი ადვილად,
   ცხვირს ხელებივით ხმარობს და
   ას კილოსა ჭამს სადილად.
3. რომელი ქართული ხალხური ზღაპრიდან არის ამოღებული წინადადება: «... აიღე ერთი სალესავი, ერთი სავარცხელი, ერთი მათარა წყალი, შემაჯდექ ზურგზე და გავიქცეთ».
4. რომელი რიცხვი უნდა ჩასვათ მოცემული კვადრატის თავისუფალ უჯრაში, რომ ეს კვადრატი მაგიურ კვადრატად იქცეს? (მაგიური ისეთი კვადრატია, რომლის ნებისმიერ სვეტში, სტრიქონსა თუ დიაგონალში მოთავსებული რიცხვის ჯამი ერთიდაიგივეა).

5	10	3
4	?	8
9	2	7

5. რომელი ცხოველია ნახატზე?

6.

7. ცხვარი — ბატკანი,
   ცხენი — კვიცი,
   კამეჩი — ?

მხატვარი **გიორგი ჩაჩანიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

მხატვარი **ბესიკ ზუბაშვილი**

ამ სურათების მიხედვით შეადგინეთ მოთხრობა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ ჩალაური**

რედაქტორის მოადგილე **შოთა ხოდაშენელი**

პასუხისმგებელი მდივანი **ციცინო გამყრელიძე**
განყოფილებები: პროზის (**დ. წიფწიკაძე**), პოეზიის (**შ. ქალდანი**), წერილების (**მ. კვაჭანტირაძე**). მისალები (**მ. გიორგაძე**).
ყოველთვიური ჟურნალი უმცროსკლასელებისათვის,
საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა **„ნამშობლო“**.
გადაეცა ასაწყობად 16.09.92 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.11.92
ქაღალდის ზომა 60×90 1/8; ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5; ტირაჟი 30 000;
შეკვეთა № 1626.

სამხატვრო რედაქტორი **გიორგი როინიშვილი**
ტექნიკური რედაქტორი **ანდი ფარეთილი**
გამოდის **1904 წლიდან**
მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, კოსტავას № 14.
ტელეფონები: 93 - 41 - 30, 93 - 10 - 32.
ჟურნალზე ნახატი **ვაჟა მელიქიშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვებო!

«ჯანმრთელ სხეულში ჯანსაღი სულია!» — ამტკიცებდნენ ძველი სპარტელები. ეს თქვენ კარგად უნდა იცოდეთ, და სულითხორციანად ძლიერნი რომ იყოთ, სპორტს უნდა ეზიაროთ, ყოველდღიურად ივარჯიშოთ და იწრთოთ სხეული. ამ მიზნით გიწვევთ თბილისის ჩოგბურთის სპეციალიზებული სკოლა, რომელიც მდებარეობს «ვერის» პარკში. გამოცდილი და ცნობილი მწვრთნელები თქვენ შეგასწავლიან ჩოგბურთის თამაშს და, აგრეთვე, გამაჯანსაღებელ ვარჯიშებს.

«ვერის» სპეციალიზებულ საჩოგბურთო სკოლაში სწავლება ფასიანია (თვეში 150 მანეთი). ეს თანხა შეგიძლიათ გადაიხადოთ როგორც ნაღდად, ისე გადარიცხვით. შეგიძლიათ მთელი წლის მომზადების საფასური წინასწარ გადარიცხოთ ჩოგბურთის სპეციალიზებული სკოლის საბანკო ანგარიშზე:

000141710

მთაწმინდის ბინსოცბანკი

(ბავშვის სახელისა და გვარის მინიშნებით).

ამასთანავე მოგმართავთ ყველა იმ სპორტსმენს და სპორტის მოყვარულს, ვისაც ქართული სპორტის მომავალზე გული შეგტკივათ და მატერიალური შესაძლებლობაც გაქვთ, დახმარება აღმოუჩინოთ ჩოგბურთის სპეციალიზებულ სკოლას და ამით თქვენი წვლილი შეიტანოთ ქართული სპორტის აღორძინების მამულიშვილურ საქმეში.

ᲫᲕᲚᲘ ᲐᲜᲑᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ.
ᲜᲐᲬᲘᲚᲘ 1 ᲬᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ.